

ჰაკრბერი ფინის თავგადასავადი

მარკ ტვენო

2014-10-24



მარკ ტვენი

კიდე 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ
გამომცემლობა პალიტრა L

თბილისი, 2014

«კვირის პალიტრის» ბიბლიოთეკა

თარგმნა თამარ დიასამიძემ

რედაქტორი დია შარვაშიძე

კორექტორები: დიკა თავართქილაძე, მარია შვედიძე, ნანა ანტონოვა-ილურიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა დათო მოსიაშვილი

ყდის დიზაინი ნანუკა ჭყონია

პროექტის მენეჯერი თინათინ ასათიანი

Cover image © File licensed by iStockphoto.com/LindaYolanda

© გამომცემლობა პალიტრა L, 2014

ყველა საავტორო უფლება დაცულია.

გამომცემლობა პალიტრა L, 2014

მისამართი: იოსებძის ქ. 49, ტელ.: 238-38-71

E-mail: book@palitra.ge;

www.palitra.ge

. . .

«გამომცემლობა პალიტრა L»-მა მკითხველს უკვე შესთავაზა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში პოპულარული პროექტი – «50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ». პროექტში შევიდა მკითხველის არჩეული 50 საუკეთესო წიგნი მსოფლიო და ქართული ლიტერატურის საგანძურიდან. პროექტი წარმოუდგენდალ წარმატებული აღმოჩნდა, ყოველი ახალი წიგნის გამოსვლას მოუთმენდალ მოელოდნენ...

«50 წიგნის» შემდეგ «გამომცემლობა პალიტრა L»-მა ყველა დროის წიგნთა წიგნი – «ბიბლია» გამოსცა, მაგრამ ამით პროექტი არ დასრულებულა. მრავალათასიანი მკითხველის თხოვნით მსოფლიო და ქართული ლიტერატურის საგანძურიდან კიდევ 49 წიგნი შეირჩა. საბოლოოდ, ამ ბიბლიოთეკის სრული კომპლექტი 100 წიგნისგან შედგება და მოიცავს სერიებს: «50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ»; «ბიბლია – მთავარი წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ» და «კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ».

ეს წიგნიც მსოფლიო ლიტერატურის ამ უნიკალურ ბიბლიოთეკას ეკუთვნის.

ამერიკა, რომელიც „გათავდა“

როდესაც ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს «ბიძია ტომის ქოხი» გამოვაქვეყნეთ სწორედ ამ სათაურით, ანუ როდესაც მთარგმნელთა მრავალწლიანი შეცდომა გავასწორეთ და რატომღაც «ბიძია თომად» წოდებულ პერსონაჟს ავტორისეული სახელი დავუბრუნეთ, ზოგიერთ მკითხველს ეს არ მოეწონა. ერთმა კი ღარეკა და პირდაპირ განგვიცხადა, თქვენ ბავშვობა წამართვით(?!). ამიტომ ბევრი ვიფიქრე, მაგრამ რა ვქნა – სიმართლე უმთავრესია და უნდა ვთქვა: მხოლოდ რუსულ გამოცემებში ჰქვია მარკ ტვენის ცნობილ რომანსა და პერსონაჟს ჰეკლბერი (ჰეკი), ხოლო ორიგინალსა და ყველა ენაზე ნორმალურ თარგმანში – ჰაკლბერი (ჰაკი) (ინგლ.Huckleberry (Huck));

ჰაკლებერი ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული კენკრაა, 1835 წლიდან ამერიკულ სტენგში დამკვიდრდა როგორც უმნიშვნელო კაცის აღმნიშვნელი სიტყვა). მეც ასე მოვიხსენიებ და იმედია, «ბავშვობის წართმევას» არავინ დამწამებს.

გამომცემლობაში კორექტასთან ვსაუბრობდი «50 წიგნისა» და «კიდევ 49 წიგნის» პროექტებზე, შემდეგ, ზოგადად, რიტერატურაზე გადავდით და ბევრი დავა-კამათი არ დაგვჭირვებია, რომ შევთანხმებულიყავით — ანტიკურ და შუა საუკუნეების რიტერატურას თუ არ ჩავთვლით, ანუ, ასე, XVII — XVIII საუკუნეების შემდეგ, მარჯ ტვენი უეჭველად შევა საუკეთესო მწერადთა ხუთეულში. დრო აღარ გვქონდა, რომ საუბარი გავგვგრძელებინა, თორემ მინიმუმ «საპრიზო სამეულსაც» «მოვუხერხებდით».

კაცმა რომ თქვას, ამ ნახევრად ხუმრობაში, ადრათ, ის «ნახევარიც» არ არის ხუმრობა — თუ არა და, პირდაპირ ვიკითხავ: აბა, თქვით, ვინ არის მარჯ ტვენზე უკეთესი მწერარი?!

ჩაფიქრდით, ხომ? ბევრი რომ იფიქროთ, იქნებ მართლაც ჩამოთვალეთ (თუმცა, ეჭვითა და ყოყმანით) ათიოდე ან ცოტა მეტი მწერარი, მაგრამ, მგონი, მაინც გაგიჭირდებათ.

მაშ, ასე — მარჯ ტვენი და «ჰაკლებერი ფინის თავგადასავადი»? წიგნი, როგორიც აღარასოდეს დაიწერება იმიტომ, რომ მასში არის: ამერიკა, რომელიც «გათავდა»? ბავშვობა, რომელიც აღარ განმეორდება! ტომ სოიერი და ჰაკლებერი ფინი, რომლებთან «ძმაკაცობაზეც» ყველა ნორმალური ბიჭი იოცნებებს, მაგრამ აღარ არიან!..

ჰოდა, რა იყო ნეტავ ეს — ავტორის უსაზღვრო ნიჭიერების გამოვლინება? ანუ ის, რომ მარჯ ტვენი «ხუთეულში» შეჰყავს მკითხველთა უმრავლესობას მთელ მსოფლიოში? ადრათ, ესეც, მაგრამ არა მხოლოდ ეს — მარჯ ტვენმა, ესოდენ წარმატებული «ტომ სოიერის თავგადასავადისა» და «ჰაკლებერი ფინის თავგადასავადისა» შემდეგ, ხომ დაწერა «ჰაკი და ტომი ინდიელებს შორის», «ტომ სოიერი — დეტექტივი», «ტომ სოიერი საზღვარგარეთ», «ტომ სოიერის შეთქმულება»... ყველამ შეიძლება არც იცით ეს ნაწარმოებები და, მკრეხელობად ნურავინ ჩამითვლის, მაგრამ, სხვათა შორის, ბევრიც არაფერი დაგიკარგავთ.

მაშ, რაშია საიდუმლო — შედეგების შემდეგ ნიჭი «შემოაკლდა» ავტორს? ვფიქრობ, აქ პასუხის გაცემა უადვილესია: «ტომ სოიერის თავგადასავადისა» და «ჰაკლებერი ფინის თავგადასავადში» მარჯ ტვენი საკუთარი თვადით ნაწახსა და განცდილს წერდა, მას თავადაც ზუსტად ისე უსჯიდნენ მესრის შეთქმულებას, როგორც ტომს და თვითონაც ზუსტად ისევე ეწეოდა მოპარულ თამბაქოს, როგორც ჰაკი; ის «პირადად იცნობდა» დეიდა პოლისაც, მოსამართლესაც, ჰაკის დოთ და ნაძირადა მამასაც, თვითონ ჰაკსაც და, ცხადია, ბევი ტუთჩერიც მისი შეყვარებული იყო; სამაგიეროდ, არასოდეს უნახავს ტომი და ჰაკი საზღვარგარეთ ან ინდიელებს შორის. საინტერესო სიმართლე კი ყოველთვის სჯობს საინტერესო გამოწავლას. მით უმეტეს, თუკი მას გენიალური მთხრობელი ჰყვება.

სიმართლე კი, სიმართლე მისი ცხოვრების (ყოველ შემთხვევაში, მისი ბავშვობის) შესახებ, მართლაც ამ ორ რომანშია — ყველა და ყველაფერი აქ არის, ჩვენ კი შეგვიძლია, სამოლოდ აბზაცში წავიკითხოთ ყველაფერი, საიდანაც მარჯ ტვენმა «ტომ სოიერისა» და «ჰაკი ფინის თავგადასავადი» «გადაწერა»:

1835 წლის 10 ნოემბერს პატარა ქაღაქ ფლორიდაში დაიბადა, ოღონდ ამ ქაღაქს არაფერი ჰქონდა საერთო ფლორიდის შტატთან – «ყვავილების ქვეყანასთან», ის იქიდან ძალიან შორს, მისურის შტატში მდებარეობდა. თუმცა, მეტაფორა რომ ვინმაროთ, მისი ბიოგრაფია მის დაბადებამდე დაიწყო: მამამისის გაკოტრების გამო ფერმერობას, უკეთეს შემთხვევაში, პრეტატორობას გადაურჩა, რადგან რომ არა XIX საუკუნის 30-იანი წლების ფინანსური კრიზისი, მამამისი, ჯონ კრემენსი, მაშინ ჯერ კიდევ მიყრუებული ტენესის შტატის კიდევ უფრო მიყრუებული და ვერჯური კუთხის 100 ათას აკრზე (ეს 40 ათას ჰექტარზე მეტია!) გადაჭიმული ველების, ტყეებისა და წყარსატევების მფლობელად დარჩებოდა და მისი ვაჟებიც, ადრე, ჯერ კარგი კოვბოები და შემდეგ მდიდარი პრეტატორები გახდებოდნენ და მარკ ტვენის (რადა მარკ ტვენის, მაშინ ხომ მხოლოდ სემუელ კრემენსად დარჩებოდა) «მწერლობაც» მამულის ანგარიშების შედგენით შემოიფარგლებოდა.

მაშ, ასე, ჯონ კრემენსმა მიწა ვერც მოიხმარა, ვერც გაყიდა, ოჯახიანად აიყარა და ქაღაქს მიაშურა. როგორც ვთქვით, სწორედ იქ დაიბადა მისი უმცროსი ვაჟი. თუმცა, არც ფლორიდაში გაუმართლა. უფრო სწორად, როგორც მარკ ტვენი თავის ბიოგრაფიაში წერს, «იქ მამაჩემს მხოლოდ ჩემს დაბადებაში გაუმართლა» და იქიდანაც წავიდნენ. წავიდნენ და მისისიპის ნაპირზე მდებარე ქაღაქ ჰანიბალში დასახლდნენ. სემი – მომავალი მწერალი, მაშინ მხოლოდ 4 წლისა იყო და, ცხადია, ჰანიბალმა სამუდამოდ დაიმკვიდრა მარკ ტვენის მშობლიური ქაღაქის სახელი.

აქ არა გვაქვს იმის ადგილი, რომ მარკ ტვენის ბიოგრაფიის დეტალებზე ვისაუბროთ, მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ როგორც დიდი ამერიკელი მწერლების უმრავლესობამ, მანაც ჟურნალისტობით დაიწყო, თუმცა, წერა მას «გვერდით შემოსავლად» სჭირდებოდა, რადგან სამდინარო ნაოსნობაზე ოცნებობდა – ორი წელი იცურა კიდევ, მაგრამ როდესაც საბოლოოდ გადაწყვიტა მწერლობა, ბავშვობისა და სიტაბუკის ოცნებას ხარკი იმით გადაუხადა, რომ სემუელ ლენგჰორნ კრემენსი მარკ ტვენად იქცა, მარკ ტვენი კი სამდინარო ნაოსნობაში ძაღზე ორიგინალური ტერმინი იყო: «By the maaa-ark, twain!» – ასეთი საგანგაშო შეძახილი ისმოდა გემზე, როდესაც სიღრმის გაზომვისას მანძილი გემის ძირსა და მდინარის ფსკერს შორის სახიფათო – ორჯუტიან ნიშნულზე ნაკლები დაფიქსირდებოდა.

მარკ ტვენმა თავისი რამდენიმეათასგვერდიანი ავტობიოგრაფიის დიდი ნაწილის გამოქვეყნების უფლება შთამომავლებს სიკვდილიდან 100 წლის შემდეგ უანდერძა. 2010 წელს შესრულდა ეს თარიღი. იმედია, მარე ქართვედ მკითხველსაც მიეცემა დიდი მწერლის სრული ავტობიოგრაფიის გაცნობის საშუალება. ის კი, რაც უკვე ვიცით მისი ბავშვობიდან, ტომისა და ჰაკის თავგადასავლების ცხოვრებისეულ სინამდვილეზე მეტყველებს: ღვიდა პოდი – მარკ ტვენის ღედა, ჯეინ კრემენსი, ღრმა სიბერემდე შვილის საუკეთესო მეგობარი იყო; ჰანიბალი – ის პატარა ამერიკული სანქტ-პეტერბურგია; ტომის მეზობლის მონა მანგი – კრემენსების მონა მანგი სენდია; ბიძამისის ფერმა «ჰაკდერი ფინის თავგადასავლიდან» მართდა ბიძამისის ფერმა; ტომის მომადებრებელი სკოლა და მასწავლებლებიც ნამდვირია, რომელებიც ბიოგრაფიაში წერს: «ყოველთვის ვცდილობდი, რომ სკოლაში მეცადინეობას ხელი არ შეეშადა განათებაში!» და რაც მთავარია, ჰაკდერი ფინი სინამდვილეში მისი ბავშვობის მეგობარი ტომ ბრენკენშიპია, ცხოვრებიდან ზუსტად «გადმოხატული». ჰოდა, მისი ბიოგრაფიაც ეს არის, ყოველ შემთხვევაში, მისი ცხოვრების მთავარი პერიოდი.